

**შპს „ევრო-ვაგონკა“**

**ფინანსური ანგარიშგება**

**2024 წლის 31 დეკემბრით  
დასრულებული წლისათვის**

## ფინანსური მდგომარეობა

| ფინანსური მდგომარეობა                                                                       | 31/12/2024       | 31/12/2023       | 31/12/2022       |
|---------------------------------------------------------------------------------------------|------------------|------------------|------------------|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                                                       | 166 492          | 329 069          | 35 049           |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                                                  | 13 100           | 25 313           | 62 414           |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები                                 | 239 526          | 61 198           | 61 903           |
| მარაგები                                                                                    | <b>837 451</b>   | <b>753 929</b>   | <b>931 127</b>   |
| მზა პროდუქცია                                                                               | 833 574          | 707 264          | 879 272          |
| სხვა                                                                                        | 3 877            | 46 665           | 51 855           |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                                                                  | 26 464           | 1 284            | 2 032            |
| სხვა არამატერიალური აქტივები                                                                | 141              | 179              | 217              |
| ძირითადი საშუალებები                                                                        | 156 254          | 146 211          | 114 736          |
| სულ აქტივები                                                                                | <b>1 439 428</b> | <b>1 317 183</b> | <b>1 207 478</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                                                                        |                  |                  |                  |
| საიჯარო ვალდებულება                                                                         | 4 752            |                  |                  |
| სავაჭრო ვალდებულებები                                                                       |                  |                  | 52 516           |
| საგადასახადო ვალდებულებები                                                                  | 362              | 26 452           | 998              |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები                                                             | 100 500          | 1 000            | 1 000            |
| სხვა ვალდებულებები                                                                          | 985              | 805              | 2 656            |
| სულ ვალდებულებები                                                                           | <b>106 599</b>   | <b>28 257</b>    | <b>57 170</b>    |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                                                                    |                  |                  |                  |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საბაიო კაპიტალი') | 26 500           | 26 500           | 26 500           |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)                                                   | 1 306 329        | 1 262 426        | 1 123 808        |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები                                                        |                  |                  |                  |
| სულ საკუთარი კაპიტალი                                                                       | <b>1 332 829</b> | <b>1 288 926</b> | <b>1 150 308</b> |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები                                                      | <b>1 439 428</b> | <b>1 317 183</b> | <b>1 207 478</b> |
| სულ მოკლევადიანი აქტივები                                                                   | <b>1 283 033</b> | <b>1 170 793</b> | <b>1 092 525</b> |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები                                                              | <b>106 599</b>   | <b>28 257</b>    | <b>57 170</b>    |
| კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები                                                   |                  |                  |                  |

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს „ევრო-ვაგონკა“-ს სახელით 2025 წლის 25 ივლისს

შპს „ევრო-ვაგონკა“-ს „-ს დირექტორი

მამუკა მაისურაძე

## საქმიანობის შედეგები

### საქმიანობის შედეგები

|                                                                                                                     | 31/12/2024 | 31/12/2023 |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------|------------|
| ნეტო ამონაგები                                                                                                      | 2 440 317  | 2 402 870  |
| საქონლის გაყიდვიდან                                                                                                 | 2 440 317  | 2 402 870  |
| გაყიდვების თვითღირებულება                                                                                           | -1 743 454 | -1 787 191 |
| საერთო მოგება                                                                                                       | 696 863    | 615 679    |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                                                                            | -296 547   | -216 023   |
| ცვთა / ამორტიზაციის ხარჯი                                                                                           | -11 148    | -9 435     |
| საპროცენტო ხარჯი                                                                                                    | -10 380    | -11 074    |
| იჯარის ხარჯი                                                                                                        | -112 725   | -89 421    |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                                                                            | -75 018    | -98 540    |
| სულ საოპერაციო ხარჯები                                                                                              | -505 818   | -424 493   |
| საოპერაციო მოგება                                                                                                   | 191 045    | 191 186    |
| <b>გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:</b>                                                                              |            |            |
| მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                                                                            | -7 384     | -7 186     |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან                      | -15 928    | 9 454      |
| მიღებული დივიდენდები                                                                                                |            |            |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)                                                                             | -14 852    | -54 836    |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან                                            | 152 881    | 138 618    |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                                                                           |            |            |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი                                                                              | 152 881    | 138 618    |
| <b>სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):</b>                                                                            |            |            |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:                                                                              |            |            |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)                                                                                 | 152 881    | 138 618    |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში                                                                 | 1 288 926  | 1 150 308  |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა') |            |            |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)                                                                      | -92 632    |            |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში                                                                               | -16 346    |            |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                                                                                           |            |            |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს                                                                      | 1 332 829  | 1 288 926  |

კვლევისა და განვითარების ხარჯები

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს „ერო-ვაგონკა“-ს სახელით 2025 წლის 25 ივლისს

შპს „ერო-ვაგონკა“-ს დირექტორი

მამუკა მაისურაძე



## ფულადი სახსრების მოძრაობა

### ფულადი სახსრების მოძრაობა

31/12/2024

31/12/2023

საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები

0

0

საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები

0

0

საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები

0

0

ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)

0

0

ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე

0

0

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში

0

0

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს


0

0

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს „ერო-ვაგონკა“-ს სახელით 2025 წლის 25 ივლისს

შპს „ერო-ვაგონკა“-ს -ს დირექტორი

მამუკა მაისურაძე





**შპს „ევრო-ვაგონკა“ (ს/კ 430030708)**

**ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**  
**ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა**

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

|                                           | შენიშვნა | 31.12.2024წ. | 31.12.2023წ. | 31.12.2022წ. |
|-------------------------------------------|----------|--------------|--------------|--------------|
| აქტივები                                  |          |              |              |              |
| მოკლევადიანი აქტივები                     |          |              |              |              |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები     | 3        | 166 492      | 329 069      | 35 049       |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები   | 4        | 13 100       | 25 313       | 62 414       |
| მარაგები                                  | 5        | 837 451      | 753 929      | 931 127      |
| მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები          | 6        | 239 526      | 61 198       | 61 903       |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                | 7        | 26 464       | 1 284        | 2 032        |
|                                           |          | 1 283 033    | 1 170 793    | 1 092 525    |
| გრძელვადიანი აქტივები                     |          |              |              |              |
| ძირითადი საშუალებები                      | 8        | 156 254      | 146 211      | 114 736      |
| არამატერიალური აქტივები                   | 8        | 141          | 179          | 217          |
|                                           |          | 156 395      | 146 390      | 114 953      |
| მთლიანი აქტივები                          |          | 1 439 428    | 1 317 183    | 1 207 478    |
| მოკლევადიანი ვალდებულებები                |          |              |              |              |
| საიჯარო ვალდებულებები                     | 9        | 4 752        |              |              |
| მოკლევადიანი სესხები                      | 9        | 100 500      | 1 000        | 1 000        |
| სავაჭრო მოკლევადიანი ვალდებულებები        | 9        | -            | -            | 52 516       |
| საგადასახადო ვალდებულებები                | 9        | 362          | 26 452       | 998          |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები           | 9        | 985          | 805          | 2 656        |
|                                           |          | 106 599      | 28 257       | 57 170       |
| მთლიანი კაპიტალი                          |          |              |              |              |
| საწესდებო კაპიტალი                        |          | 26500        | 26 500       | 26 500       |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი) |          | 1 306 329    | 1 262 426    | 1 123 808    |
|                                           |          | 1 332 829    | 1 288 926    | 1 150 308    |
| მთლიანი ვალდებულებები                     |          | 106 599      | 28 257       | 57 170       |
| მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები          |          | 1 439 428    | 1 317 183    | 1 207 478    |

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს „ევრო-ვაგონკა“-ს სახელით 2025 წლის 25 ივლისს  
 შპს „ევრო-ვაგონკა“-ს დირექტორი  
 მამუკა მაისურაძე

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „ევრო-ვაგონკა“ (ს/კ430030708)

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

|                                                 | შენიშვნა | 2024 წ.         | 2023 წ.         |
|-------------------------------------------------|----------|-----------------|-----------------|
| ამონაგები                                       | 10       | 2 440 317       | 2 402 870       |
| თვითღირებულება                                  | 11       | (1 743 454)     | (1 787 191)     |
| <b>საერთო მოგება</b>                            |          | <b>696 863</b>  | <b>615 679</b>  |
| მიწოდების დანახარჯები                           | 12       | (9 364)         | (23 034)        |
| ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი                  | 13       | (177 730)       | (168 863)       |
| დასაქმებულთა ხელფასები და სარგებელი             | 13       | (296 547)       | (216 023)       |
| ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი                   | 13       | (11 148)        | (9 435)         |
| სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა             | 14       | (29 544)        | (54 836)        |
| მოგება/(ზარალი) ვალუტის კურსთაშორისი სხვაობიდან | 15       | (15 928)        | 9 454           |
| სხვა ხარჯები                                    | 13       | 6 659           | (3 251)         |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                        |          | <b>163 261</b>  | <b>149 692</b>  |
| ფინანსური ხარჯი                                 | 16       | (10 380)        | (11 074)        |
| <b>ფინანსური ხარჯი - წმინდა</b>                 |          | <b>(10 380)</b> | <b>(11 074)</b> |
| მოგების გადასახადი                              |          |                 |                 |
| <b>წმინდა მოგება</b>                            |          | <b>152 881</b>  | <b>138 618</b>  |
| სხვა სრული შემოსავალი:                          |          |                 |                 |
| ქონების გადაფასებასთან დაკავშირებული            |          |                 |                 |
| (ზარალი)/შემოსულობა, გადასახადის გამოკლებით     |          |                 |                 |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი</b>                 |          | <b>152 881</b>  | <b>138 618</b>  |

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს „ევრო-ვაგონკა“-ს სახელით 2025 წლის 25 ივლისს

შპს „ევრო-ვაგონკა“-ს „-ს დირექტორი

მამუკა მაისურაძე



თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს



**საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს**  
**დასრულებული წლისათვის**

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

|                                       | საწესდებო<br>კაპიტალი | მთლიანი კაპიტალი |
|---------------------------------------|-----------------------|------------------|
| <b>ნაშთი 31.12.2022</b>               | <b>26 500</b>         | <b>1 150 308</b> |
| კაპიტალის ზრდა                        | -                     | -                |
| კაპიტალის შემცირება                   | -                     | -                |
| პერიოდის მოგება                       | -                     | 138 618          |
| გაცემული დივიდენდი                    | -                     | -                |
| <b>ნაშთი 31.12.2023</b>               | <b>26 500</b>         | <b>1 288 926</b> |
| კაპიტალის ზრდა                        | -                     | -                |
| კაპიტალის შემცირება                   | -                     | -                |
| პერიოდის მოგება                       | -                     | 152 881          |
| გაცემული დივიდენდი                    | -                     | (92 632)         |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში | -                     | (16 346)         |
| <b>ნაშთი 31.12.2024</b>               | <b>26 500</b>         | <b>1 332 829</b> |

კომპანიის მენეჯმენტმა გადაწყვიტა საკუთარი დაგროვილი მოგებიდან დივიდენდის გატანა. რადგან 2024 წლამდე კომპანიის დამფუძნებლებს არ გამოუცხადებიათ და არც გაუტანიათ დივიდენდი. შესაბამისად მოხდა 2017-წლამდე დაგროვილი მოგება-ზარალის ნაწილი თანხის დივიდენდად გამოცხადება და გატანა. შესაბამისად ამ პერიოდში გადახდილი მოგების გადასახადის გამოყენება. 2017 წლამდე ბიუჯეტში გადახდილი მოგების გადასახადი შეადგენდა 22 205 ლარს და 2017-წლამდე გაუნაწილებელი მოგება 124 643 ლარს.

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს „ერო-ვაგონკა“-ს სახელით 2025 წლის 25 ივლისს შპს „ერო-ვაგონკა“-ს დირექტორი

მამუკა მაისურაძე

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს



## შპს „ევრო-ვაგონკა“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

### 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ევრო-ვაგონკა ს/კ 430030708 (შემდგომში „კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2015 წლის 15 მარტს.

კომპანიის მფლობელები არიან:

ფიზიკური პირი - მამუკა მაისურაძე (პ/ნ 62003006648 - 50% წილით),

ფიზიკური პირი - დავით კოხრეიძე (პ/ნ 18001016245 - 50% წილით).

კომპანიის დირექტორი მამუკა მაისურაძე პ/ნ 62003006648

დავით კოხრეიძე პ/ნ 18001016245

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს *საბითუმო ვაჭრობა ხე-ტყის მასალით.*

იურიდიული მისამართი : ზესტაფონის რაიონი / გოგებაშვილი 24

ფაქტიური მისამართი : საქართველო, ქ. თბილისი, ზ. კიკვიძის 4

საწარმო წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს, მას არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება საწარმოს არ გააჩნია შვილობილი საწარმოები.

### 2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

2023-2024 წლებში - საქართველოში და კერძოდ მსოფლიოში განვითარებულმა პროცესებმა, რომელიც დღესაც მიმდინარეობს, შესაბამისი გავლენა იქონია შპს „ევროვაგონკა“-ს ფინანსურ მდგომარეობაზეც, რადგან კომპანია ახორციელებს ხე-ტყის პროდუქციის იმპორტს რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა კომპანიებიდან. როგორც მოგეხსენებათ ძირითადი მომწოდებელი ბაზარზე არის რუსეთის ფედერაცია. 2022 წლის თებერვლის თვიდან ყოველ მომდევნო თვეში ხდებოდა გარკვეულ პროდუქციებზე ფასების მკვეთრი ვარდნა ან ზრდა, (რაც კარგად ასახულია შესაბამის ინვოისებსა და საბაჟოზე წარდგენილ ყველა დოკუმენტაციაში. სადაც კარგად ჩანს ინფორმაცია ცვალებადი ფასებისა და მკვეთრი ცვლილებების შესახებ, ამასთანავე საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსების ცვალებადობამ და საბანკო გადარიცხვების შეზღუდვებმა გავლენა მოახდინა ამ პროცესზე), შესაბამისად ამ პროცესებმა ასახვა ჰპოვა შპს „ევრო-ვაგონკა“-ს ფინანსურ მდგომარეობაზე და ცვლილება ამ კუთხით არც 2024 წელს შეცვლილა. კერძოდ, ზოგიერთ პროდუქციაზე, რომლის შემომტანიც ბევრი სხვა კომპანიაა საქართველოში, გამოიწვია შესყიდვის ფასების საოცარი ცვალებადობა და ზოგიერთ პროდუქციის ფასების ცვალებადობა. ეს პროცესი იქცა უწყვეტ პროცესად. მაგრამ ფასები



გახდა ცვალებადი და არა პროგნოზირებადი. რომლის გამოც კომპანიას უხდება პროდუქციის შესასყიდ და გასაყიდ ფასებს შორის ხშირი ცვლილება. 2024 წელს - კომპანიამ შეძლო და მოიძია ახალი მომწოდებლები და გაზარდა პროდუქციის ასორტიმენტიც. მიუხედავად ზემო აღნიშნული სიტუაციებისა კომპანიამ მოახერხა საერთო მოგების მარჟის შენარჩუნება და შეინარჩუნა დადებითი საბრუნავი კაპიტალი. კომპანიას გახსნილი აქვს (სესხი) - საკრედიტო ხაზი, რომელიც 2023 წელს გაზარდა და კომპანიის ფინანსურმა სიმყარემ განაპირობა ამ საკრედიტო ხაზის შენარჩუნება 2024 წელსაც. კომპანიის მთლიანი აქტივები, მზარდი რიცხვებით, კომპანიის ფინანსური ხარჯი გაიზარდა ოფისის ადგილმდებარეობის შეცვლისა გამო. მიუხედავად ყველა არასასურველი ფაქტორისა, რომელიც გავლენას ახდენდა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, კომპანიამ მაინც შეძლო და მოახერხა საკუთარი კაპიტალის გაზრდა გრძელვადიანი აქტივის გაზრდით. კომპანიის დაარსებიდან დღევანდელ მდგომარეობამდე მთლიანი კაპიტალი აჭარბებს მთლიან ვალდებულებებს. კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას და კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ და რაც შეიძლება ფინანსურად განავითარონ გამართონ და გააძლიერონ კომპანიის საქმიანობა.

აღნიშნული ფაქტორების შეფასების საფუძველზე ხელმძღვანელობა თვლის, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2025 წლის 25 ივლისს.

#### **ოპერაციები უცხოურ ვალუტაში**

##### ***სამუშაო და წარდგენის ვალუტა***

კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა *ქართული ლარი*. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.

##### ***ოპერაციები და ნაშთები***

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის საოპერაციო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (უცხოური ვალუტები) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსით.

კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგების მუხლში, "მოგება/ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან".

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი ერთეულები, რომლებიც აისახება თავდაპირველი ღირებულებით, კონვერტირდება ტრანზაქციის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით.

კომპანიას მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წლის ბოლოს მდგომარეობით გამოყენებული გაცვლითი კურსებია:



|                                  | აშშ<br>დოლარი | რუსული<br>რუბლი | ევრო   | ჩინური<br>იუანი |
|----------------------------------|---------------|-----------------|--------|-----------------|
| კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.6894        | 2.9916          | 2.9753 | 3.7819          |
| კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.8068        | 2.5405          | 2.9306 | 3.8452          |

### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს დაგროვილი ცვეთა.

ძირითადი საშუალების ერთეულის თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შემენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი ნაწილდება ადმინისტრაციულ და მიწოდების ხარჯებზე აქტივების ფუნქციური დანიშნულების მიხედვით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები:

| ძირითადი საშუალებების<br>ჯგუფი | სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი) |
|--------------------------------|-------------------------------------|
| შენობა ნაგებობა                | 20-25                               |
| ოფისის აღჭურვილობა             | 5-8                                 |
| ავტო და სხვა ინვენტარი         | 5-10                                |
| ელექტრო და სხვა მოწყობილობა    | 7-10                                |

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

### არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას რომელიც ასახულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც 10 წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი



ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი ჩაირთვება ადმინისტრაციულ ხარჯებში. არამატერიალური აქტივების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი არამატერიალური აქტივების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

## მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო გადასახადსა და სხვა აუნაზღაურებად გადასახადებს, ტრანსპორტირებისა და დატვირთვის დანახარჯებსა და ნებისმიერ სხვა პირდაპირ მიკუთვნებად დანახარჯებს.

## აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია ძირითად საშუალებებს და არამატერიალური აქტივებისათვის ამოწმებს ხომ არ არსებობს გაუფასურების ნიშნები. თუ ამგვარი ნიშნები არსებობს დგინდება აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) აღდგენითი ღირებულება. აღდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის.

თუ აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში რეალიზებული საქონლის თვითღირებულების მუხლში.

როდესაც ხდება გაუფასურების ზარალის შემდგომი აღდგენა, აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მის აღდგენითი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.



## **იჯარა**

იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

## **ფინანსური ვალდებულებები**

ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით.

საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი.

საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

## **ამონაგების აღიარება**

ამონაგები მოიცავს საქონლის საბითუმო და საცალო რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს.

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს, რომლის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, დაბრუნებული თანხების, გადასახადებისა და მოსაკრებლების და სავაჭრო ფასდათმობისა და მოცულობის გამო ფასდაკლების გამოკლებით.

## **სხვა შემოსავალი**

სხვა შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.



## ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

## მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას. კომპანიის საგადასახადო ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც რომელიც ძალაშია საანგარიშგებო თარიღისათვის. კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“ მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
  - სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
  - ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
  - უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
  - ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები
- დივიდენდების განაწილების შემთხვევაში წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებული მოგების განაწილებისას, თუ ასეთი მოგება ნაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში, ხდება წინა წლებში გადახდილი მოგების გადასახადის ჩათვლა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ მოგებაზე ფაქტიურად დარიცხულ მოგების გადასახადს. აღნიშნული აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება.

დივიდენდების განაწილების გარდა მოგების გადასახადი გადაიხდება იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან, აღნიშნული გადასახადი აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში სხვა ხარჯების მუხლში.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით.



## **ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ**

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიიჩნევა, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

### **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა**

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია და ემყარება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მოსალოდნელი მოხმარება, შეფასებული ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო, სადაც გამოიყენება აქტივი.

ზემოაღნიშნული პირობებიდან ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება. უიმედო ვალების რეზერვი სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტებისგან თანხების ამოღება. ამ რეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ეფუძნება მოთხოვნების ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

### **ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში**

საქართველოში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ კომპანიის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.



### შენიშვნა 3

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

|                                 | 31.12.2024     | 31.12.2023     |
|---------------------------------|----------------|----------------|
| ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში     | 2 444          | 6 764          |
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში | 90 677         | 316 679        |
| უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში  | 73 371         | 5 626          |
| <b>სულ</b>                      | <b>166 492</b> | <b>329 069</b> |

### შენიშვნა 4

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

|                    | 31.12.2024    | 31.12.2023    |
|--------------------|---------------|---------------|
| სავაჭრო მოთხოვნები | 13 100        | 25 313        |
| <b>სულ</b>         | <b>13 100</b> | <b>25 313</b> |

2024 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიამ შეამცირა სავაჭრო მოთხოვნები - 2023 წლის 31 დეკემბრისათვის მთლიანი სავაჭრო მოთხოვნები შეადგენდა 25.313 ლარს, ხოლო 2024 წლის 31 დეკემბრისათვის - 13 100 ლარია. რაც შეეხება წინა წლის საექვო მოთხოვნებში გადატანილ სავაჭრო მოთხოვნებს (37 267 ლარი) შეტანილია სარჩელი და არის განხილვის პროცესში.

### შენიშვნა 5

მარაგები

|                 | 31.12.2024     | 31.12.2023     |
|-----------------|----------------|----------------|
| მზა პროდუქცია   | 833 574        | 707 264        |
| პროდუქცია გზაში |                | 44 674         |
| სხვა მარაგები   | 3877           | 1 991          |
| <b>სულ</b>      | <b>837 451</b> | <b>753 929</b> |

მიმდინარე პერიოდის აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 833 574 ლარი. მარაგების ფინანსური ზრდა გამოწვეულია ახალი მომწოდებლებისაგან მიღებული პროდუქციის გამო. გარდა ამისა რუსეთის ფედერაციაში გაიზარდა მოწოდებული პროდუქციის ერთეულის ფასიც კუბზე დაახლოებით 30%-ით. წინა წლებთან შედარებით შემცირებულია მარაგების გაუფასურების გაუფასურების შედეგად მიღებული ზარალიც.

### შენიშვნა 6

გადახდილი ავანსები

|                                  | 31.12.2024     | 31.12.2023    |
|----------------------------------|----------------|---------------|
| მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები | 239 526        | 61 198        |
| <b>სულ</b>                       | <b>239 526</b> | <b>61 198</b> |

|                                                                                                                                                                    |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 17.09.2024-ში გადარიცხულია 4934,80 ზინური იუანი - საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსით (0,38022) - <b>1876,31</b> ლარი - ავანსი პროდუქციის შესაძენად.       |
| 27.10-28.10 -ში გადარიცხულია 1 379 060 რუბლი - საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსით (0.028191) - <b>38877,08</b> ლარი - ავანსი პროდუქციის შესაძენად.        |
| 23.11-24.11-25.11 -ში გადარიცხულია 2 475 320 რუბლი - საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსით (0.026619) - <b>65 890,54</b> ლარი - ავანსი პროდუქციის შესაძენად. |
| 26.11.2024 გადარიცხულია 1 053 036 რუბლი - საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსით (0.026387) - <b>27786,46</b> ლარი - ავანსი პროდუქციის შესაძენად.             |
| 27.11-2024 -ში გადარიცხულია 1 000 000 რუბლი - საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსით (0.026007) - <b>26 007</b> ლარი - ავანსი პროდუქციის შესაძენად.           |



|                                                                                                                                                           |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 29.11-2024 -ში გადარიცხულია 950 000 რუბლი - საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსით (0.024986) - <b>23 736,70</b> ლარი - ავანსი პროდუქციის შესაძენად. |
| 30.11-2024 -ში გადარიცხულია 651 236 რუბლი - საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსით (0.02575) - <b>16769,33</b> ლარი - ავანსი პროდუქციის შესაძენად.   |
| 23.12-2024 -ში გადარიცხულია 389 825 რუბლი - საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსით (0.027198) - <b>10 602,46</b> ლარი - ავანსი პროდუქციის შესაძენად. |
| 24.12-2024 -ში გადარიცხულია 1 000 000 რუბლი - საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსით (0.027919) - <b>27 919</b> ლარი - ავანსი პროდუქციის შესაძენად.  |

#### შენიშვნა 7

##### მოკლევადიანი აქტივები

|                                                                  | 31.12.2024    | 31.12.2023   |
|------------------------------------------------------------------|---------------|--------------|
| საბაჟო მომსახურებაზე გადახდილი ავანსები                          | 1 383         | 1 096        |
| წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება (სალარო აპარატის მომსახურება) | 186           | 186          |
| საგადახადო აქტივი                                                | 16 253        |              |
| სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები                                    | 8 642         |              |
| <b>სულ</b>                                                       | <b>26 464</b> | <b>1 284</b> |

#### შენიშვნა 8

##### გრძელვადიანი აქტივები

|                         | 31.12.2024 | 31.12.2023 |
|-------------------------|------------|------------|
| არამატერიალური აქტივები | 141        | 179        |
| <b>სულ</b>              | <b>141</b> | <b>179</b> |

#### შენიშვნა 9

##### სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

|                                 | 31.12.2024     | 31.12.2023    |
|---------------------------------|----------------|---------------|
| საიჯარო ვალდებულებები           | 4 752          |               |
| მოკლევადიანი სესხები            | 100 500        | 1 000         |
| სავაჭრო ვალდებულებები           |                | -             |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | 985            | 805           |
| საგადახდო ვალდებულებები         | 362            | 26 452        |
| <b>სულ</b>                      | <b>106 599</b> | <b>28 257</b> |

ჯგუფის მოკლევადიან სესხს წარმოადგენს საკრედიტო ხაზი ლარში, სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთია 12.5 %-ს. 2023 წელს მოხდა საკრედიტო ხაზის გაზრდა და გაერთიანება. ყოველწლიურად ხდება საკრედიტო ხაზის განახლება.

#### შენიშვნა 10

##### ამონაგები

|                                          | 31.12.2024       | 31.12.2023       |
|------------------------------------------|------------------|------------------|
| საქონლის რეალზაციიდან მიღებული ამონაგები | 2 440 317        | 2 402 870        |
| <b>სულ</b>                               | <b>2 440 317</b> | <b>2 402 870</b> |



**შენიშვნა 11**

საქონლის რეალზაცია თვითღირებულებით

|                | 31.12.2024         | 31.12.2023         |
|----------------|--------------------|--------------------|
| თვითღირებულება | (1 743 454)        | (1 787 191)        |
| <b>სულ</b>     | <b>(1 743 454)</b> | <b>(1 787 191)</b> |

**შენიშვნა 12**

მიწოდების ხარჯები

|                                  | 31.12.2024     | 31.12.2023      |
|----------------------------------|----------------|-----------------|
| რეკლამისა და მარკეტინგის ხარჯები | (9 364)        | (23 034)        |
| <b>სულ</b>                       | <b>(9 364)</b> | <b>(23 034)</b> |

**შენიშვნა 13**

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

|                                                              | 31.12.2024       | 31.12.2023       |
|--------------------------------------------------------------|------------------|------------------|
| შრომის ანაზღაურება                                           | (285 079)        | (214 197)        |
| მივლინების ხარჯი                                             | (11 468)         | (1 826)          |
| საბანკო ხარჯი                                                | (20 819)         | (13 674)         |
| იჯარის ხარჯი                                                 | (112 725)        | (89 421)         |
| ტრანსპორტირების ხარჯი                                        | (3 212)          | (140)            |
| დაზღვევის ხარჯი                                              | (2 680)          | (2 447)          |
| კომუნიკაციის ხარჯი                                           | (1 902)          | (1 469)          |
| ვებ გვერდის მომსახურების ხარჯი                               | (1 575)          | -                |
| კომუნალური გადასახადების ხარჯი                               | (5 278)          | (5 901)          |
| იურიდიული მომსახურების ხარჯი                                 | (3 600)          | (3 888)          |
| ქონების გადასახადის ხარჯი                                    | (1 217)          | (1 008)          |
| ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი                                | (11 148)         | (9 435)          |
| საკონსულტაციო და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯი | (2 100)          | (4 650)          |
| კომპიუტერის ხარჯები                                          | (260)            | (330)            |
| საკანცელარიო ხარჯი                                           | (249)            | (177)            |
| 300 ღირებულების ძირითადი საშუალებების ხარჯი                  | (1 313)          | (2 459)          |
| წარმომადგენლობითი ხარჯები                                    | (1 269)          | (1 250)          |
| საეჭვო მოთხოვნ. დაკავშირებული ხარჯები                        | -                | (37 267)         |
| ოფისის შეცვლასთან დაკავშირებული ხარჯები                      | (9 426)          | (425)            |
| სხვა საერთო ხარჯი                                            | (2 704)          | (3 481)          |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯები                                 | (7 401)          | (877)            |
| <b>სულ</b>                                                   | <b>(485 425)</b> | <b>(394 321)</b> |

წლიური - ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯების ზრდა გამოწვეულ იქნა ოფისის შეცვლასთან დაკავშირებული ხარჯების, საიჯარო ქირის, კომპანიის თანამშრომელთა ხელფასებისა და სამივლინებო ხარჯების გაზრდის გამო



**შენიშვნა 14**

**სხვა შემოსავლები და ხარჯები**

|                                                    | 31.12.2024      | 31.12.2023      |
|----------------------------------------------------|-----------------|-----------------|
| ძირითადი საშუალებების ჩამოწერა                     | (18 949)        | (164)           |
| მარაგების გაუფასურების ზარალი                      | (7 384)         | (7 186)         |
| დივიდენდი მოგების გადასახადი                       | 16 347          |                 |
| სხვა მოგების გადასახადი (ესტონური მოდელი მიხედვით) | (1 654)         | (8330)          |
| სხვა ხარჯები                                       | (11 245)        | (42 406)        |
| <b>სულ</b>                                         | <b>(22 885)</b> | <b>(58 086)</b> |

2024 წლის თებერვლის თვეში მოხდა ოფისის შეცვლა (მოიჯარის მიერ ტერიტორიის გაყიდვის გამო) იმ ტერიტორიაზე არსებული საგამოყენო დარზაბის დემონტაჟი და გადატანა ვერ მოხერხდა. რის გამოც იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის ხარჯი აღიარდა ზარალად და ჩამოიწერა.

**შენიშვნა 15**

**მოგება (ზარალი) ვალუტის კურსთაშორისი სხვაობიდან**

|                                                                                   | 31.12.2024      | 31.12.2022   |
|-----------------------------------------------------------------------------------|-----------------|--------------|
| მოგება(ზარალი) საბანკო ანგარიშებზე                                                | (15 924)        | (4084)       |
| მოგება(ზარალი) მომწოდებლებთან ანგარიშსწორებიდან                                   | 4 111           | 15 266       |
| მოგება(ზარალი) ვალუტის კურსთაშორისი სხვაობიდან - კონვერტაციით ფიზიკური პირის მიერ | (4 115)         | (1 728)      |
| <b>სულ ფინანსური დანახარჯები</b>                                                  | <b>(15 928)</b> | <b>9 454</b> |

**შენიშვნა 16**

**ფინანსური დანახარჯები**

|                              | 31.12.2024      | 31.12.2023      |
|------------------------------|-----------------|-----------------|
| ფინანსური (საპროცენტო ხარჯი) | (10 380)        | (11 074)        |
| <b>სულ</b>                   | <b>(10 380)</b> | <b>(11 074)</b> |

**დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება**

|                             | 31.12.2024     | 31.12.2023    |
|-----------------------------|----------------|---------------|
| შრომის ანაზღაურება მთლიანად | 120 076        | 90 306        |
| <b>სულ</b>                  | <b>120 076</b> | <b>90 306</b> |

### შენიშვნა 17

#### საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე კომპანიამ დაგეგმა მშენებლობა და შესაბამისად მოამზადა წინა სამუშაოები კერძოდ კოტეჯების მშენებლობის პროექტები, 2024 წლის პერიოდში კომპანიამ მოახდინა მის მფლობელოში არსებული მიწის ნაკვეთის კაპიტალური შეღობვა და გარკვეული სამუშაოების შესრულება. ტერიტორიაზე შეიყვანა წყალი და კანალიზაცია. მაგრამ მთლიან დამთავრებას გეგმავს 2026 წლის ბოლოსათვის.

გარდა ზემოაღნიშნულისა ცდილობს გავიდეს ევროპის, აზიის და მსოფლიოს სხვა ქვეყნების ბაზრებზე. აწარმოოს მოლაპარაკებები და უახლოეს პერიოდში დაგეგმოს ქვეყნის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად ახალი და თანამედროვე პროდუქციის შემოტანა.

### შენიშვნა 18

#### წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

2024 წელს, კომპანიამ აღმოაჩინა, რომ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეცდომით იყო დარიცხული ცვეთა დაუმთავრებელ მშენებლობაზე 50,11 ლარის ოდენობით. რის შედეგადაც შემცირდა წლიური მოგება. აღნიშნული შეცდომების გასწორება აღირიცხა რეტროსპექტულად და 2023 წლის შესადარისი ინფორმაცია გადაანგარიშდა. რის გამოც შემცირებულ იქნა ხარჯი ზოგადი და ადმინისტრაციულ ხარჯებში (კერძოდ ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი), შესაბამისი თანხით. შეცდომის აღმოფხვრის შედეგად შემცირებულ იქნა ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი - 50 ლარით. საერთო მოგება გაიზარდა 50 ლარით და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის მუხლი - "საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი" გაიზარდა 50 ლარით.



შენიშვნა: 8

ძირითადი საშუალებები

|                           | მიწის<br>ნაკვეთე<br>ბი | შენობა-<br>ნაგებობ<br>ები | მანქანა-<br>დანადგ<br>არები და<br>მოწყობი<br>ლობები | ოფისის<br>აღჭურვი<br>ლობა | ავეჯი და<br>სხვა<br>ინვენტარი | დაუმთ<br>ავრებე<br>ლი<br>მშენებ<br>ლობა | სულ      |
|---------------------------|------------------------|---------------------------|-----------------------------------------------------|---------------------------|-------------------------------|-----------------------------------------|----------|
| თვითღირებულება            |                        |                           |                                                     |                           |                               |                                         |          |
| 31 დეკემბერი 2023         | 40 060                 | 22 116                    | 20 067                                              | 8 315                     | 73 956                        | 5 011                                   | 169 525  |
| ცვეთა და გაუფასურება      |                        |                           |                                                     |                           |                               |                                         | -        |
| 31 დეკემბერი 2023         |                        | (2 775)                   | (5 316)                                             | (2 457)                   | (12 766)                      |                                         | (23 314) |
| პერიოდის ცვეთა            |                        | (1 507)                   | (2 418)                                             | (1 082)                   | (6 102)                       |                                         | (11 109) |
| გასვლა 2024               |                        |                           | (83)                                                | (17)                      | (18 849)                      |                                         | (18 949) |
| შემოსვლა 2024             |                        | 35 359                    | 482                                                 |                           | 3 244                         | 1 017                                   | 40 102   |
| 31 დეკემბერი 2024         | -                      | 31 077                    | (7 335)                                             | (3 556)                   | (34 473)                      | 1 017                                   | (13 270) |
| ნეტო საბალანსო ღირებულება |                        |                           |                                                     |                           |                               |                                         |          |
| 31 დეკემბერი 2023         | 40 060                 | 19 341                    | 14 751                                              | 5 858                     | 61 190                        | 5 011                                   | 146 211  |
| 31 დეკემბერი 2024         | 40 060                 | 53 193                    | 12 732                                              | 4 759                     | 39 483                        | 6 028                                   | 156 254  |

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს „ევრო-ვაგონა“-ს სახელით 2023 წლის 25 ივლისს

შპს „ევრო-ვაგონა“-ს „-ს დირექტორი

მამუკა მაისურაძე

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს